განცხადება/თანხმობა

მე, შპს „მიდამოს“ (ს/ნ: 404536515; მის.: ქ. თბილისი, გიგა ლორთქიფანიძის ქ., N 15, ბინა N13) დირექტორი გიორგი ჭყონია (პ/ნ:01008010791), თანხმობას ვაცხადებ შპს „მიდამოს“ საავტორო უფლებები დაკავშირებული შემდეგ მიწის ნაკვეთებთან:

- ტარიელის ქუჩა N9, N13, N15; ს/კ 01.15.05.017.034;
- ფიროსმანის ქ. 36/40; ს/კ01.16.01.016.054;
- ფიროსმანის ქ. 42; ს/კ01.16.01.007.002;
- ფიროსმანის ქ. 25; ს/კ01.16.01.005.011;

და მასზე არსებულ პროექტებთან დაკავშირებით სრულად გადავცე შპს „კატევე დეველოპმენტს“ **(საიდენტიფიკაციო კოდი: N405172977)**.

წინამდებარე დოკუმენტის ხელმოწერის დღიდან ყველა უფლება ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებულ პროექტებზე ეკუთვნის შპს „კატევე დეველოპმენტს“, მას აქვს უფლება საკუთარი სახელით შეიტანოს ცვლილებები, კორექტირებები პროექტში და განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ქმედება აღნიშნულ პროექტთან მიმართებაში, ასევე შპს „კატევე დეველოპმენტს“ აქვს უფლება წარადგინოს ნებისმიერი დოკუმენტი ზემოაღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით ნებისმიერ დაწესებულებაში, ორგანიზაციასა და უწყებაში.

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დღიდან მე გიორგი ჭყონია, როგორც შპს „მიდამოს“ დირექტორი არ ვფლობ არანაირ უფლებას ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე არსებულ პროექტებთან დაკავშირებით.

თანხმობას ვაძლევ შპს „კატევე დეველოპმენტს“ (ს/კ **405172977**), რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე არსებულ პროექტებში შეიტანოს ნებისმიერი სახის ცვლილება და შეათანხმოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურთან, რაზედაც არ მაქვს პრეტენზია, რასაც ვადასტურებ და ვამოწმებ ხელმოწერით.

შპს „მიდამოს“ დირექტორი

გიორგი ჭყონია

ორიათას ოცდასამი წლის ცამეტ დეკემბერს, მე, ნოტარიუს ინგა ხარძიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6 პირველ სართულზე, მომმართა **გიორგი ჭყონიამ,** როგორც **შპს „მიდამო“-ს** (ს/კ 404536515) დირექტორმა. მან წარმოადგინა **განცხადება/თანხმობა** ორ ეგზემპლარად და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით: **გიორგი ჭყონია** - დაბ. 16.07.1979წ. თბილისში, პირადი #01008010791, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ილო მოსაშვილის ქ. #5 ბ. 39ა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს აღნიშნულ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და პასუხს არ აგებს წინამდებარე დოკუმენტის შინაარსზე, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტს, რასაც ვამოწმებ. (ხელმოწერა შესრულებულია წარმოდგენილი დოკუმენტის ყველა გვერდზე, აღნიშნული დოკუმენტი შედგება 1 (ერთი) გვერდისგან და 2 (ორი) ეგზემპლარზე შესრულებულია სულ 2 (ორი) ხელმოწერა).

გადახდილია სანოტარო საზღაური თანახმად 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება #507, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების 31-ე მუხლისა გადახდილია 12 (თორმეტი) ლარი (აგრეთვე დ.ღ.გ 2.16 ლარი, თანახმად საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და 39-ე მუხლისა რეგისტრაციის საფასური 5 (ხუთი) ლარი (დ.ღ.გ ჩათვლით), სულ გადახდილია 19.20 (ცხრამეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი /ინგა ხარძიანი/.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N231709470
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.12.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ინგა ხარძიანი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველი სართული**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**2308930; მაგთი ფიქსი: 790761651; მობ: 599502834;**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	81054178049623

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**